ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
(ტურისტული ვებ-პლატფორმით მომსახურების თაობაზე)

ერთი მხრივ, შპს „ჯეორჯიან თრაველი“ (ს/კ 402192033) (შემდგომში - „პლატფორმის ოპერატორი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, თენგიზ ჯანჯღავას სახით,

და მეორე მხრივ, „მომხმარებელი“ (შემდგომში - „გამქირავებელი“),

ცალ-ცალკე მხარედ, ხოლო ერთად მხარეებად წოდებულნი,

წინამდებარე ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება“) გაფორმებით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „პლატფორმის ოპერატორი“ ვალდებულებას იღებს მის მიერ ოპერირებულ ინტერნეტ პორტალ goodway.ge-ზე ან/და სხვა პარტნიორულ ვებ გვერდებზე (არსებობის შემთხვევაში) (შემდგომში - „ვებ-პლატფორმა“) განათავსოს ინფორმაცია „გაქმირავებლის“ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალების მესამე პირებისათვის დასაქირავებლად შეთავაზების თაობაზე.

1.2. „გამქირავებელი“ ვალდებულია „პლატფორმის ოპერატორის“ მიერ გაწეული, ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღწერილი მომსახურების (შემდგომში - „მომსახურება“) სანაცვლოდ „პლატფორმის ოპერატორს“ გადაუხადოს საზღაური (შემდგომში - „მომსახურების ღირებულება“) ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და წესით.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. „გამქირავებელი“ ვალდებულია:

2.1.1. „პლატფორმის ოპერატორს“ მიაწოდოს ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია, რაც საჭიროა „ვებ-პლატფორმის“ პოტენციური მომხმარებლებისათვის სატრანსპორტო საშუალების დასაქირავებლად შეთავაზების მიზნებისთვის. ინფორმაცია მოიცავს მათ შორის, და არა მხოლოდ, სატრანსპორტო საშუალების დეტალურ აღწერილობას, ფოტოსურათებს, გაქირავების ტარიფებს და ნებისმიერ ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს „პლატფორმის ოპერატორი“;

2.1.2. სატრანსპორტო საშუალების „ვებ-პლატფორმის“ მეშვეობით გაქირავების შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების დამქირავებელთან (შემდგომში - „დამქირავებელი“) ქირავნობის ურთიერთობა წარმართოს კეთილსინდისიერად, „ვებ-პლატფორმაზე“ მითითებული და „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესების სრული დაცვით;

2.1.3. „დამქირავებელს“ გადასცეს ის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც დაიქირავა „დამქირავებელმა“ „ვებ-პლატფორმის“ მეშვეობით. სატრანსპორტო საშუალება უნდა შეესაბამებოდეს „ვებ-პლატფორმაზე“ აღწერილ მდგომარეობას;

2.1.4. „დამქირავებელს“ სატრანსპორტო საშუალება გადასცეს წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე, საწვავის ავზი - სავსე მდგომარეობაში;

2.1.5. გასაქირავებელი სატრანსპორტო საშუალება მუდმივად შეინარჩუნოს ტექნიკურად სრულიად გამართულ, სუფთა და ვიზუალურად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში;
2.1.6. უზრუნველყოს გასაქირავებელი სატრანსპორტო საშუალების დაზღვევა. დაზღვევა უნდა ვრცელდებოდეს როგორც უშუალოდ სატრანსპორტო საშუალების, როგორც ქონების, დაზიანების, ასევე მგზავრთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკებზე.
2.1.7. „დამქირავებლის“ მოთხოვნის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება მას გადასცეს საბავშვო სავარძლით სათანადოდ აღჭურვილ მდგომარეობაში;
2.1.8. „დამქირავებლისათვის“ გადაცემის შემდეგ სატრანსპორტო საშუალების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში უზრუნველყოს პრობლემის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა, ხოლო თუ ეს მოითხოვს „დამქირავებლისათვის“ მიუღებელ დროს, უზრუნველყოს „დამქირავებლისათვის“ ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალების შეთავაზება;
2.1.9. „ვებ-პლატფორმაზე“ განთავსებული სატრანსპორტო საშუალების აღწერილობის ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში დროულად მიაწოდოს ინფორმაცია „პლატფორმის ოპერატორს“;
2.1.10. დროულად აცნობოს „პლატფორმის ოპერატორს“ იმ გარემობების შესახებ, რაც აძნელებს ან/და შეუძლებელს ხდის მის მიერ სატრანსპორტო საშუალების გაქირავებას, მათ შორის, და არა მხოლოდ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სატრანსპორტო საშუალება კონკრეტულ პერიოდში უკვე დაკავებულია და მიუთითოს ასეთი მდგომარეობის ხანგრძლივობის შესახებ;
2.1.11. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში „პლატფორმის ოპერატორს“ ამის შესახებ წერილობით აცნობოს არაუგვიანეს ხელშეკრულების მოშლამდე 10 დღით ადრე;
2.1.12. გადაუხადოს „პლატფორმის ოპერატორს“ „მომსახურების ღირებულება“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, წესით და ოდენობით;
2.1.13. აუნაზღაუროს „დამქირავებელს“ სატრანსპორტო საშუალების ქირავნობის ფარგლებში „გამქირავებლის“ ვალდებულებების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი (ასეთი ზიანის ანაზღაურება არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება დაეკისროს „პლატფორმის ოპერატორს“);

2.2. **„გამქირავებელი“ უფლებამოსილია:**
2.2.1. მოსთხოვოს „პლატფორმის ოპერატორს“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება;
2.2.2. სატრანსპორტო საშუალების ქირავნობის ღირებულება „დამქირავებლისაგან“ მიიღოს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საკუთარი შეხედულებისამებრ.

2.3. **„პლატფორმის ოპერატორი“ ვალდებულია:**
2.3.1. უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალების გასაქირავებლად შეთავაზების თაობაზე „გამქირავებლის“ მიერ მოწოდებული

ინფორმაციის „ვებ-პლატფორმაზე“ განთავსება და მასში საჭირო ცვლილებების დროულად შეტანა;

2.3.2. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

2.4. **„პლატფორმის ოპერატორი“ უფლებამოსილია:**

2.4.1. მოსთხოვოს „გამქირავებელს“ სატრანსპორტო საშუალების გაქირავების თაობაზე სრული ინფორმაცია;

2.4.2. მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია „დამქირავებლისაგან“ დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებისა და ქირავნობის ურთიერთობის მიმდინარეობის დეტალებისა და ხარისხის შესახებ;

2.4.3. ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება (ხელშეკრულების შეწყვეტის დასაბუთების ვალდებულება „პლატფორმის ოპერატორს“ არ ეკისრება);

2.4.4. მოსთხოვოს „გამქირავებელს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისერად და ჯეროვნად შესრულება.

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულების 1.2. პუნქტით გათვალისწინებული „მომსახურების ღირებულება“ შეადგენს „გამქირავებლის“ მიერ „ვებ-პლატრფორმის“ მეშვეობით სატრანსპორტო საშუალების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლის 20%-ს.

3.2. „მომსახურების ღირებულებას“ „გამქირავებელი“ უხდის „პლატფორმის ოპერატორს“ „დამქირავებლის“ მიერ სატრანსპორტო საშუალების „გამქირავებლისათვის“ დაბრუნებიდან 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში.

3.3. ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, „პლატფორმის ოპერატორის“ საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანის (მათ შორის, სწრაფი გადახდის აპარატით ჩარიცხვის) ან/და გადარიცხვის გზით.

4. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

4.1. „გამქირავებელი“ ვალდებულია, „პლატფორმის ოპერატორის“ მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, „პლატფორმის ოპერატორის“ საბანკო ანგარიშზე შეიტანოს „პლატფორმის ოპერატორის” მიერ განსაზღვრული თანხა (შემდგომში - „დეპოზიტი“).

4.2. „პლატფორმის ოპერატორი“ უფლებამოსილია „დეპოზიტის“ შეტანა მოითხოვოს როგორც ხელშეკრულების გაფორმებამდე, ისე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ნებისმიერ დროს.

4.3. „დეპოზიტის“ შეტანის შესახებ „პლატფორმის ოპერატორის“ მოთხოვნის 3 (სამი) სამუშაო დღეში შეუსრულებლობის შემთხვევაში „პლატფორმის ოპერატორი“ უფლებამოსილია „გამქირავებელს“ არ გაუწიოს „მომსახურება“ (მათ შორის, „ვებ-პლატფორმიდან“ აიღოს „გამქირავებლის“ სატრანსპორტო საშუალების თაობაზე იქ განთავსებული ინფორმაცია) „დეპოზიტის“ შეტანამდე.

4.4. „დეპოზიტი“ გამოყენებული იქნება „გამქირავებლის” მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, ასევე, იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც

„პლატფორმის ოპერატორს” მიადგა „გამქირავებლის” მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის ან/და „გამქირავებლის” ნებისმიერი სხვა ქმედების გამო.

4.5. იმ შემთხვევაში, თუ მოხდა „დეპოზიტის“ გამოყენება ხელშეკრულების 4.4. პუნქტის მიხედვით და მხარეები არ წყვეტენ ხელშეკრულებას, „გამქირავებელი“ ვალდებულია 3 (სამი) სამუშაო დღეში შეავსოს „დეპოზიტი“. ასეთ შემთხვევაში „პლატფორმის ოპერატორი“ უფლებამოსილია მოითხოვოს „დეპოზიტის“ ოდენობის გაზრდა და მის შევსებამდე არ გაუწიოს „გამქირავებელს“ „მომსახურება“.

4.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება შეწყდება (ნებისმიერი მიზეზით) და „პლატფორმის ოპერატორს“ არ გააჩნია რაიმე ფულადი მოთხოვნა „გამქირავებლის“ მიმართ, იგი „გამქირავებელს“ ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უბრუნებს „დეპოზიტს“.

5. პერსონალური ინფორმაციის დამუშავება

„გამქირავებელი” ინფორმირებულია და ადასტურებს, რომ „პლატფორმის ოპერატორი“ უფლებამოსილია დაამუშაოს და „ვებ-პლატფორმაზე“ განათავსოს „გამქირავებლის“ ის პერსონალური ან/და სხვაგვარი ინფორმაცია, რომელიც ამ უკანასკნელმა მიაწოდა მას ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და ფარგლებში (მათ შორის, „ვებ-პლატფორმაზე“ განსათავსებლად). ასეთი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს მათ შორის და არამხოლოდ „გამქირავებლის“ სახელს, გვარს, პირად ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, მობილური ტელეფონის ნომერს, საცხოვრებელ მისამართს, საბანკო ანგარიშის ნომერს, ინფორმაციას (მათ შორის ფოტოებსა და გრაფიკულ გამოსახულებას) სატრანსპორტო საშუალების ან/და მისი გადაადგილების შესახებ და ა.შ.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

ხელშეკრულების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. მოქმედის კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

7.1. ხელშეკრულება იდება, განიმარტება და სრულდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. მხარეთა შორის სადავო საკითხის წარმოშობის შემთხვევაში ისინი ვალდებულნი არიან სცადონ საკითხის მოლაპარაკების გზით გადაჭრა.

7.3. მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით.

8. ხელშეკულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორმხრივად ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

პლატფორმის ოპერატორი

შპს „ჯეორჯიან თრაველ“ (ს/კ 402192033)
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: _____
ანგარიშის ნომერი: _____

_____

თენგიზ ჯანჯღავა
დირექტორი

გამქირავებელი

_____